

ირაკლი კოტეტიშვილი

საპროცესო შეთანხმება – შედარებითი მიმოხილვა

ირაკლი კოტეტიშვილი

*საჯარო სამსახურის ბიუროს დირექტორი, საქართველო.
საერთაშორისო სისხლის სამართლის მაგისტრი, სასექსის უნივერსიტეტი.*

შესავალი

1980-იანი წლებიდან საპროცესო შეთანხმება გამოიყენება დასავლეთ ევროპის ბევრი სახელმწიფოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში. გერმანიაში სისხლის სამართლის საქმეთა დაახლოებით 20-40% განიხილება საპროცესო შეთანხმებით და დაახლოებით მსგავსი სიტუაციაა დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც. საპროცესო შეთანხმება ხდება მთელ მსოფლიოში, იგი პროცესუალური რეგოლუციაა, რომელიც მიმდინარეობდა ბოლო ოცი წლის განმავლობაში. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტმა განვითარება პოვა სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის მემკვიდრეობის მქონე ქვეყნებში, გააჩნდათ მათ ინკვიზიტორული, საერთო სამართლის თუ სოციალისტური მართლმსაჯულების მემკვიდრეობა. ასევე, ერთმანეთისგან განსხვავებულ ისეთ სახელმწიფოებში, როგორც არის ინდოეთი, რუსეთი, იტალია, ლათინური ამერიკის ქვეყნები, ჩვენ ვხედავთ, რომ საპროცესო შეთანხმებას, რომელიც ფუნქციონირებს წარმატებულად, მიუხედავად აღნიშნული სახელმწიფოების სოციალური და ეკონომიკური მემკვიდრეობისა. ეს არის უნივერსალური მიღწევა. ზოგიერთი ეწინააღმდეგება ფაქტს, რომ საპროცესო შეთანხმების ამერიკული მოდელი არის კლასიკური, ვინაიდან ევროპაში ჩვენ გავგაჩნია საპროცესო შეთანხმების საკმაოდ ბევრი მოდელი, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ. მთავარი მესიჯი კი მდგომარეობს შემდეგში: უბრალოდ, ჩვენ ვერ უარყოფთ საპროცესო შეთანხმებას, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეთა ზრდა მოითხოვს გარკვეული ნაბიჯების განხორციელებას და თუ ეს არ მოხდება, მაშინ ადგილი ექნება სერიოზულ უსამართლობას.

ყველა ქვეყანა პატივს უნდა სცემდეს ადამიანის ისეთ ფუნდამენტალურ უფლებებს, როგორიცაა: უდანაშაულობის პრეზუმფცია, სამართლიანი სასამართლოს და შეჯიბრებითობის უფლება. აღნიშნული უფლებები წარმოადგენენ “ხელშეუხებელს” და მათი დარღვევის გარეშეც შესაძლებელია საპროცესო შეთანხმების სისტემის შემოღება. თუ გადავხედავთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, ძალიან ცოტა საქმე ეხება საპროცესო შეთანხმებას და აშშ-ის უზენაესმა სასამართლომაც აღიარა საპროცესო შეთანხმების მნიშვნელობა, როდესაც განაცხადა შემდეგი: საპროცესო შეთანხმების

დებულებები არ არღვევენ უდანაშაულობის პრეზუმფციას, სამართლიანი სასამართლოსა და შეჯიბრებითობის უფლებას, ვინაიდან პირს ყოველთვის გააჩნია სასამართლო განხილვის უფლება და უდანაშაულობის პრეზუმფცია, ხოლო ბრალის აღიარება საქმის სრული სასამართლო განხილვის გარეშე არის ნებაყოფლობითი, რასაც ბრალდებული მიმართავს სათანადო კონსულტაციის მიღების შემდეგ და ამით იგი ნებაყოფლობით აცხადებს უარს ზემოაღნიშნულ ფუნდამენტალურ უფლებებზე.

საპროცესო შეთანხმების არსი და ფორმები

„საპროცესო შეთანხმება“ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შედარებით ახალი ინსტიტუტია. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი საქართველოში 2005 წლის იანვრიდან არსებობს, რომელიც მიზნად ისახავს სისხლისსამართლებრივი წარმოების გამარტივებას, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას. 2008 წელს, პირველად, მისი გამოყენების მაჩვენებელმა საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ მიაღწია 50%-იან ნიშნულს.

საპროცესო შეთანხმება თავისი არსით განაჩენის გამოტანის დაჩქარებული და ეფექტური ფორმაა. „საპროცესო შეთანხმების“ დადებისას მეტად მნიშვნელოვანია ბრალდებულის გამოძიებასთან თანამშრომლობის წახალისება და მისგან მიღებული ინფორმაცია სხვადასხვა სახის ორგანიზებული დანაშაულის ან/და ისეთი კრიმინალური აქტების შესახებ, რომლებიც უკვე განხორციელდა ან, მოსალოდნელია მათი ჩადენა, ასევე, ინფორმაცია იმ დანაშაულის შესახებ, რომლის ჩადენაშიც იმხილება აღნიშნული პირი.

საპროცესო შეთანხმება შეიძლება დაიდოს როგორც წინასწარი გამოძიების, ისე სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას. ყოველ წელს იზრდება იმ საქმეთა რიცხვი, რომელშიც საპროცესო შეთანხმება იდება სწორედ წინასწარი გამოძიების ეტაპზე და სასამართლოს წარედგინება შუამდგომლობა, არსებითი განხილვის გარეშე, განაჩენის გამოტანის შესახებ.

„საპროცესო შეთანხმების“ ინიციატორები შეიძლება იყვნენ ბრალდებული (განსასჯელი) ან პროკურორი. საქმის არსებითი განხილვისას, მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია, სასამართლო კამათის დაწყებამდე შესთავაზოს მხარეებს საპროცესო შეთანხმების დადება.

საპროცესო შეთანხმების ძირითადი პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: ბრალდებული აღიარებს დანაშაულს/თანამშრომლობს გამოძიებასთან შედარებით მსუბუქი სასჯელის მოლოდინში. თუმცა შესაძლებელია, საერთოდ არ იყოს სახეზე არც ბრალის აღიარება და არც თანამშრომლობა, მაგრამ ბრალდებული დათანხმდეს პროკურორის მიერ შემოთავაზებულ სასჯელის ზომას/სახეს და ამით თავიდან იქნეს აცილებული საქმის სასამართლო განხილვა (შეთანხმება სასჯელზე) სრული მოცულობით. პროკურორი არ არის შეზღუდული დადოს საპროცესო შეთანხმება ნებისმიერ საქმეზე, თუმცა დანაშაულის სიმძიმე განაპირობებს საპროცესო შეთანხმების პირობებს და სასჯელის სიმძიმეს.

მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, სასამართლო არ შედის მტკიცებულებათა სრული მოცულობით განხილვაში, არამედ არკვევს მხოლოდ იმას, დაირღვა თუ არა ბრალდებულისათვის კანონით მინიჭებული უფლებები.

მოქმედი კანონმდებლობით, საპროცესო შეთანხმება ხდება ბრალზე ან სასჯელზე. ბრალზე შეთანხმების დროს ბრალდებული (განსასჯელი) აღიარებს დანაშაულს, ხოლო სასჯელზე შეთანხმებისას იგი არ ეწინააღმდეგება წაყენებულ ბრალდებას, მაგრამ ეთანხმება პროკურორს ან სასჯელის ზომაზე, ან სასჯელისგან სრულიად განთავისუფლებაზე. სასჯელზე შეთანხმების შედეგია პირის ნასამართლობა.

„საპროცესო შეთანხმებისას“ პროკურორი უფლებამოსილია, მოითხოვოს განსასჯელისათვის სასჯელის შემცირება, ასევე დანაშაულთა ერთობლიობისას მიიღოს გადაწყვეტილება ბრალდებულისათვის (განსასჯელისათვის) ბრალდების შემსუბუქების ან/და ბრალდების ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ განსაზღვრავს იმ საქმეთა კატეგორიებს, რომლებზედაც შეიძლება საპროცესო შეთანხმების დადება. საპროცესო შეთანხმების დადებისას პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს: ა) საჯარო ინტერესი, ბ) ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელი და გ) ქმედების მართლწინააღმდეგობისა და პირის ბრალეულობის ხარისხი.

საპროცესო შეთანხმების საფუძველზე არ შეიძლება შეიზღუდოს ბრალდებულის უფლება წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შემთხვევაში მოითხოვოს შესაბამის პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

ბრალდებულს, რომლის შესახებაც საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გამოძიებას მიაწოდეს მამხილებელი ინფორმაცია, სრულად უნდა ეცნობოს საპროცესო შეთანხმების შინაარსი, გამოძიებისთვის მიწოდებული ინფორმაციის ჩათვლით.

იმისათვის, რომ საპროცესო შეთანხმების არსი უფრო ნათელი გახდეს, აქვე მოვიყვანო მაგალითს.

2007 წლის 7 აპრილს საქართველოს შს სამინისტროს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე მოქალაქე კ.პ-ს მიერ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენის, შენახვისა და საქართველოში უკანონო შემოტანის ფაქტზე. დანაშაული გათვალისწინებული იყო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 262-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

კ. პ-ის მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენა დადასტურებული იყო მისი დაკავების და პირადი ჩხრეკის ოქმებით, მოწმეების დაკითხვის ოქმებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული ნივთმტკიცებით, ეჭვმიტანილი კ. პ-ის აღიარებითი ჩვენებით და საქმეზე შეკრებილი სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით.

ბრალდებულმა ადვოკატთან იურიდიული კონსულტაციის შემდეგ ნებაყოფლობით გაითქვა გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი. დასახელებული გარემოების გამო, სა-

ჯარო ინტერესებიდან გამომდინარე და სახელმწიფო რესურსების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით, პროკურორმა მიზანშეწონილად მიიჩნია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული ყოფილიყო საქართველოს სსკ-ის LXIV⁴ თავში მოცემული პირობები საპროცესო შეთანხმების შესახებ.

2007 წლის მაისს პროკურორსა და ბრალდებულ კ. პ-ს შორის გაფორმდა ბრალზე საპროცესო შეთანხმება. აღნიშნული შეთანხმებით კ.პ. დაეთანხმა პროკურორის მიერ შეთავაზებულ წინადადებას სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანისა და მის მიერ სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის 9 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების, სსკ-ის 262-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სსკ 55-ე მუხლის გამოყენებით, კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის - 9 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების თაობაზე. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე, ზემოაღნიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და საბოლოო სასჯელის ზომად განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 წლის ვადით.

ამასთან, ბრალდებულს განემარტა, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმება არ ათავისუფლებდა მას სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან.

პროკურორმა, აღნიშნული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე იშუამდგომლა თბილისის საქალაქო სასამართლოსთან.

საპროცესო შეთანხმებას ხელს აწერენ ბრალდებული, მისი ადვოკატი და პროკურორი.

აღნიშნულ შემთხვევაში საპროცესო შეთანხმება შედგა ბრალზე, ვინაიდან კ.პ-მ ნებაყოფლობით აღიარა ბრალი და ითანამშრომლა გამოძიებასთან, რის შედეგადაც მას გაცილებით შეუმსუბუქდა სასჯელი (მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 18 წლით, მაშინ, როდესაც სავარაუდო სასჯელი შეიძლებოდა ყოფილიყო გაცილებით მაღალი ან დამდგარიყო უვადო თავისუფლების აღკვეთა), მოხდა საქმეზე არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანა.

უნდა აღინიშნოს, რომ კ.პ-ს საქმეზე საპროცესო შეთანხმების დადება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრული დაცვით მოხდა, კერძოდ, საპროცესო შეთანხმების დადებისას პროკურორმა გააფრთხილა ბრალდებული, რომ საპროცესო შეთანხმება არ გაათავისუფლებდა მას სამოქალაქო ან სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან (თუმცა განსაკუთრებულ შემთხვევებში, მთავარ პროკურორს ან მის მოადგილეს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს ბრალდებულის (განსასჯელის) სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლების შესახებ, ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს), საპროცესო შეთანხმება დაიდო ზემდგომ პროკურორთან წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, ადვოკატის უშუალო მონაწილეობითა და ბრალდებულის წინასწარი თანხმობით.

საპროცესო შეთანხმების შესახებ შუამდგომლობის განხილვა ხდება სასამართლოს მიერ, რათა ნათელი გახდეს, თუ როგორ ხდება აღნიშნული, მინდა განვიხილო თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 16 მაისის განაჩენი.

2005 წლის 16 მაისს თბილისის საოლქო სასამართლომ განსასჯელების - ა.ჯ-სა და რ.ა-ს საქმეზე გამოიტანა განაჩენი საქმის არსებითი განხილვის გარეშე და დაამტკიცა 2005 წლის 6 აპრილის ოქმები საპროცესო შეთანხმების შესახებ.

აღნიშნულ პირებს ბრალი ედებოდათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

2005 წლის 8 აპრილს თბილისის საოლქო სასამართლოში ახალციხის რაიონული სასამართლოდან შევიდა შუამდგომლობა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესახებ. შუამდგომლობის მიხედვით, პროკურატურა ითხოვდა დამტკიცებულიყო ბრალდების მხარესა და ბრალდებულს შორის, მათი ინტერესების დამცველ ადვოკატებთან ერთად, 2005 წლის 6 აპრილს შემდგარი საპროცესო შეთანხმების ოქმი სასჯელზე გარიგების პირობით, კერძოდ: პროკურატურა ითხოვდა ა.ჯ. ცნობილი ყოფილიყო დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის ზომად დაკისრებოდა 1500 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა, საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის გარეშე.

ასევე, პროკურატურა ითხოვდა რ.ა. ცნობილი ყოფილიყო დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის ზომად დაკისრებოდა 500 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა, საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის გარეშე.

საქმის მასალების შემოწმებისა და ბრალდებულთა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ უნდა დამტკიცებულიყო საპროცესო შეთანხმების შესახებ ოქმები და დაადგინა განაჩენი საქმის არსებითად განხილვის გარეშე.

მოცემული მაგალითიდან ჩანს, რომ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საპროცესო შეთანხმებას სასჯელზე, ვინაიდან ბრალდებულებმა არ აღიარეს ბრალი, მხოლოდ პროკურორის მიერ მოთხოვნილ სასჯელს დაეთანხმნენ, რის საფუძველზეც მოხდა მათთვის სასჯელის შემსუბუქება, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული (მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია) ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ვადით სამ წლამდე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლით, ორივე ბრალდებულს მხოლოდ ჯარიმა დააკისრა (დაუნიშნა კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელი).

სასამართლომ განაჩენი საქმის არსებითი განხილვის გარეშე საქართველოს სსკ-ის შესაბამისი მოთხოვნების დაცვით გამოიტანა, კერძოდ:

სასამართლო კოლეგიამ მოუსმინა პროცესის მონაწილე პირებს, დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმება დადებული იყო ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე სხვა უკანონო დაპირების გარეშე, ნებაყოფლობით და ბრალდებულებს ჰქონდათ შესაძლებლობა, მიეღოთ კვალიფიციური იურიდიული დახმარება.

საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე სასამართლო კოლეგია დარწმუნდა შემდეგში:

ბრალდებულები სრულად აცნობიერებდნენ იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც მათ ედებოდათ ბრალი;

ბრალდებულები სრულად აცნობიერებდნენ გათვალისწინებულ სასჯელს იმ დანაშაული-სათვის, რომლის ჩადენასაც ისინი არ აღიარებდნენ, მაგრამ სასჯელს ეთანხმებოდნენ;

ბრალდებულებისათვის ცნობილი იყო საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ბრალის აღიარების შესახებ;

ბრალდებულები აცნობიერებდნენ, რომ თუ სასამართლო არ დაამტკიცებდა საპროცესო შეთანხმებას, დაუშვებელი იქნებოდა მომავალში მათ წინააღმდეგ გამოყენებული ყოფილიყო ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც ისინი მიაწოდებდნენ სასამართლოს საპროცესო შეთანხმების განხილვისას;

ბრალდებულები აცნობიერებდნენ, რომ მათ ჰქონდათ შემდეგი კონსტიტუციური უფლებები: ა) დაცვის უფლება, ბ) უფლება უარი განეცხადებინათ შეთანხმებაზე ბრალის აღიარების შესახებ, გ) უფლება სასამართლოს მიერ საქმის არსებით განხილვაზე;

საპროცესო შეთანხმება არ იყო შედეგი ბრალდებულების იძულების, დაშინების ან ისეთი დაპირების, რომელიც სცილდება საპროცესო შეთანხმების ფარგლებს;

ბრალდებულებსა და პროკურორს შორის არსებული შეთანხმების ყველა პირობა ასახული იყო წერილობით საპროცესო შეთანხმებაში;

ბრალდებულები და მათი დამცველები სრულად იცნობდნენ საქმის მასალებს.

აღნიშნული საპროცესო შეთანხმება კანონმდებლობის შესაბამისად, დამტკიცებულ იქნა სასამართლოს მიერ საჯარო სხდომაზე (თუმცა საქართველოს სსკ-ის თანახმად, შესაძლებელია სასამართლოს სხდომის დახურვა, როდესაც არსებობს ამის მნიშვნელოვანი საფუძველი, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განაჩენი, რომელშიც აისახება საპროცესო შეთანხმება).

სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლოს გამოაქვს განაჩენი პროკურორის მიერ შუამდგომლობის წარდგენიდან 15 დღის ვადაში. სასამართლოს შეუძლია უარი თქვას საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე, თუ ჩათვლის, რომ არ არსებობს ბრალდების დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები ან შუამდგომლობა წარმოდგენილია კანონის მოთხოვნათა დარღვევით. ასეთ შემთხვევაში საქმე უბრუნდება პროკურატურას საბრალდებო დასკვნის საკითხის გადასაწყვეტად. პროკურატურისათვის საქმის უკან დაბრუნებამდე სასამართლომ შეიძლება თავდაპირველად მხარეებს შესთავაზოს საპროცესო შეთანხმების პირობების შეცვლა.

ბრალდებულს (განსასჯელს) უფლება აქვს, სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე ნებისმიერ მომენტში უარი თქვას ასეთ მდგომარეობაზე და მოითხოვოს საქმის არსებითი განხილვა. უარის განცხადებას არ სჭირდება დამცველის თანხმობა. მხარეებს ასევე უფლება აქვთ, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანამდე შეცვალონ „საპროცესო შეთანხმების“ პირობები. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული განაცხადებს უარს შეთანხმებაზე, ბრალდებულს აქვს სრული გარანტია იმისა, რომ ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენების გამოყენება მის საწინააღმდეგოდ არ მოხდება.

განაჩენის გასაჩივრება

მსჯავრდებულს უფლება აქვს, განაჩენის გამოტანიდან 15 დღის ვადაში ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში წარადგინოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე, თუ:

1. საპროცესო შეთანხმება დაიდო მოტყუებით;
2. ბრალდებულს (განსასჯელს) შეეზღუდა დაცვის უფლება;
3. საპროცესო შეთანხმება დაიდო იძულებით, ძალადობით, მუქარით ან დაშინებით;
4. საქმის განმხილველმა სასამართლომ უგულებელყო კანონით გათვალისწინებული არსებითი მოთხოვნა.

თუ ბრალდებულმა (განსასჯელმა) დაარღვია საპროცესო შეთანხმებაში ასახული პირობა, დარღვევის გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში პროკურორი უფლებამოსილია, ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში წარადგინოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება. პროკურორმა საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს მსჯავრდებულ გ.ბ-ს მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 5 იანვრის განაჩენის გაუქმების თაობაზე.

პროკურორის საჩივარი ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 5 იანვრის განაჩენით, დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება ბრალდების მხარესა და გ.ბ-ს შორის. გ.ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

დამატებითი სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმის 5000 ლარის გადახდის აღსრულებაზე დაკავშირებით შესაბამისი სააღსრულებო ფურცელი 2007 წლის 22 იანვარს გადაეგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის ქ. თბილისის ბიუროს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის ქ. თბილისის ბიუროს 2007 წლის 7 აგვისტოს წერილის თანახმად, მსჯავრდებულმა დაარღვია საპროცესო შეთანხმებაში ასახული, განაჩენით დამტკიცებული პირობა და დამატებითი სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმა – 5000 ლარი არ გადაიხადა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 679⁶ მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, გააუქმა თბილისის საოლქო სასამართლოს 2007 წლის 5 იანვრის განაჩენი მსჯავრდებულ გ.ბ-ს მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ (679⁶ მუხლის მე-2 ნაწილი) და საქმე წინასწარი გამოძიებისათვის დაუბრუნა საქართველოს გენერალურ პროკურატურას (679⁶ მუხლის მე-3 ნაწილი).

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის განჩინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დაცვით იქნა გამოტანილი, ვინაიდან მსჯავრდებულმა დაარღვია საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული პირობა.

დაზარალებულის უფლებები საპროცესო შეთანხმების დადებისას

„საპროცესო შეთანხმების“ დადების შესახებ უნდა ეცნობოს დაზარალებულს, თუმცა მას აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება არ გააჩნია.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს საქმე “კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ” (#403,427. 19.12.2008). აღნიშნული პირები წარმოადგენდნენ დაზარალებულებს სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებზედაც გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. მათ მიაჩნდათ, რომ შეეზღუდათ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, ვინაიდან სადავო ნორმა (სსსკ-ის 679⁷ მუხლის მე-2 და 679⁸ მუხლის მე-2 ნაწილი) არ აძლევდა შესაძლებლობას დაზარალებულ პირებს, გაესაჩივრებინათ საპროცესო შეთანხმება და სრულად აენაზღაურებინათ დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი, მიეღწიათ სამართლიანი და დანაშაულის ადეკვატური სასჯელისათვის. მოსარჩელეთა განცხადებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679⁷ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საპროცესო შეთანხმების მხარეები – მსჯავრდებული და პროკურორი უფლებამოსილი არიან სსსსკ 679⁶ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჩივარი წარადგინონ ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის თაობაზე. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679⁸ მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ დაზარალებულს უფლება არ აქვს, გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება. კონსტიტუციური სარჩელების თანახმად, სადავო ნორმა არ შეესაბამება კონსტიტუციას, ვინაიდან იგი სასამართლოსადმი მიმართვის და სამართლიანი სასამართლო განხილვის შესაძლებლობას გამორიცხავს.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელები, ვინაიდან დაზარალებულს უნარჩუნდება უფლება შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი დანაშაულით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო საპროცესო შეთანხმებისას დამნაშავე აღიარებს ბრალს, რაც დაზარალებულს მომგებიან პოზიციაში აყენებს, ვინაიდან ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტის დროს სამოქალაქო სარჩელის განმხილველ სასამართლოსათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებითი ძალა გააჩნია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ განაჩენსა და საპროცესო შეთანხმების აქტს. ამასთან, სასამართლო არანაირად არ არის შეზღუდული, ზემოაღნიშნული აქტებით განსაზღვროს კომპენსაციის მოცულობა დაზარალებულისათვის. ასევე, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არ არის აბსოლუტური და სახელმწიფოს მხრიდან მოწესრიგებას საჭიროებს. სწორედ ასეთი წესრიგის უზრუნველყოფას ემსახურება კანონმდებლის მიერ საპროცესო შეთანხმების ფარგლებში დაზარალებულისთვის საპროცესო უფლება-მოვალეობების და გასაჩივრების უფლების საფუძვლების განსაზღვრა. განსაკუთრებული დამოკიდებულება, რომელსაც შესაძლოა დაზარალებული გამოხატავდეს განსასჯელისთვის დაკისრებული სასჯელის მიმართ, არასაკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი ნაწილით (სასამართლოსადმი მიმართვა) გათვალისწინებული უფლება იყოს გამოყენებული. სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება, რაც

საჯარო ინტერესს უდავოდ წარმოადგენს და რასაც საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შემოღება ისახავს მიზნად, განაპირობებს დაზარალებულისთვის პროცესუალური უფლებების ამგვარი მოწესრიგების აუცილებლობას.

ბრალდებულის სასჯელისგან სრულად გათავისუფლება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მნიშვნელოვანი ასპექტია „საპროცესო შეთანხმების“ საფუძველზე, სასჯელისაგან ბრალდებულის სრულიად გათავისუფლების შესაძლებლობა: განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად გამოვლინდა თანამდებობის პირის ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით შეიქმნა ამ დანაშაულის გახსნისთვის არსებითი პირობები, საქართველოს მთავარ პროკურორს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების მოთხოვნით. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში პირი თავისუფლდება სასჯელისაგან, თუმცა იგი ითვლება ნასამართლევად. დაუშვებელია სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება მხოლოდ ჯარიმის ან თანხის გადახდის სანაცვლოდ.

„საპროცესო შეთანხმების“ გამოყენების სტატისტიკა საქართველოში

2005 წელს განაჩენების უმეტესობა არსებითი განხილვით იქნა გამოტანილი და შეადგინა 87,3%, ხოლო საპროცესო შეთანხმებით, შესაბამისად – 12,7%, 2005 წელს გაფორმდა 680 საპროცესო შეთანხმება. მათ შორის „საპროცესო შეთანხმებათა“ 52% იღებოდა ბრალზე, ხოლო 48% - სასჯელზე.

2006 წელს არსებითი განხილვით გამოტანილი განაჩენების რაოდენობამ შეადგინა 5478 საქმე – 55,8%, ხოლო საპროცესო შეთანხმება გაფორმდა სისხლის სამართლის 4333 საქმეზე, ანუ 44,1%.

2007 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სულ განაჩენი გამოტანილი იქნა 17526 სისხლის სამართლის საქმეზე. მათ შორის არსებითი განხილვით განაჩენი გამოვიდა 9094 საქმეზე, ანუ 51,9%-ზე, ხოლო საპროცესო შეთანხმებით - 8432 საქმეზე, რამაც შეადგინა 48,1%.

2008 წელს არსებითი განხილვით დამთავრებული იქნა 8790 სისხლის სამართლის საქმე, ანუ 50,1%, ხოლო საპროცესო შეთანხმებით 8770 საქმე, ანუ 49,9%.

2009 წლის პირველი ექვსი თვის მონაცემებით, სასამართლოებმა არსებითი განხილვით განაჩენი დაადგინეს 3341 სისხლის სამართლის საქმეზე, ანუ 45,5%-ზე, საპროცესო შეთანხმებით კი - 4007 საქმეზე, ანუ 54,5%-ზე¹.

ზემოაღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, საპროცესო შეთანხმებათა დინამიკა წლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება: 2005 წელი – 12,7%, 2006 წელი 44,1%, 2007 წელი – 48,1%, 2008 წელი – 49,9% და 2009 წელი (6 თვის მონაცემი) – 54,5%.

ყველაზე უფრო ხშირად დასმული კითხვები საპროცესო შეთანხმების შესახებ

საინტერესოა ასევე, პასუხი გაეცეს იმ ძირითად შეკითხვებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ “საპროცესო შეთანხმების” ინსტიტუტთან დაკავშირებით.

ა. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი არ არის ტრანსპარანტული

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ შესაძლოა, ითქვას შემდეგი:

1. საპროცესო შეთანხმების დადებაში ორივე მხარე მონაწილეობს.
2. პროკურატურის მხრიდან საპროცესო გარიგებაზე თანხმობას იძლევა ზემდგომი პროკურორი.
3. ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა.
4. ყველა საპროცესო გარიგება განიხილება და მტკიცდება სასამართლოში ღია სასამართლო სხდომაზე, ანუ საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა, დაესწროს სასამართლო სხდომას.
5. სასამართლო ამოწმებს საქმის მასალებს, მათ შორის მტკიცებულებებს.
6. მოსამართლე უნდა დარწმუნდეს, რომ ბრალდებული სრულყოფილად აღიქვამს გარიგების შინაარსს და სამართლებივ შედეგებს, აგრეთვე ბრალდებულის თანხმობა ნებაყოფლობითია.
7. ბრალდებულს უფლება აქვს, საპროცესო გარიგების დადების შემდეგ სასამართლოში მის დამტკიცებამდე (მათ შორის სასამართლო სხდომაზე) უარი განაცხადოს გარიგე-

¹ მოცემული სტატისტიკა წარმოადგენს საქართველოს მთავარი პროკურატურის მონაცემებს.

ბაზე და მოითხოვოს მისი საქმის არსებითი განხილვა.

8. მოსამართლე უფლებამოსილია, არ დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება.

ბ. მცდარია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ “საპროცესო შეთანხმების განხილვისას მოსამართლე არ შედის ბრალისა და მტკიცებულებების განხილვაში, ანუ უდანაშაულოც შესაძლოა დაისაჯოს”

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679⁴ მუხლის თანახმად, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას, სასამართლო ამოწმებს, თუ რამდენად დასაბუთებულია ბრალდება, კანონიერია თუ არა შუამდგომლობაში მითითებული სასჯელი და რამდენად ნებაყოფლობით მოხდა ბრალის აღიარება. შესაბამისად, თუკი სასამართლო, ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, მიიჩნევს რომ არ არსებობს ბრალდების დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებანი, ის არ ამტკიცებს შუამდგომლობას და საქმეს უბრუნებს პროკურატურას საბრალდებო დასკვნის საკითხის გადასაწყვეტად.

ასევე, მსჯავრდებულს აქვს უფლება, გაასაჩივროს სასამართლოს განაჩენი, რომლითაც დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, თუ იგი თვლის, რომ შეთანხმება დაიდო მოტყუებით ან მუქარის, ძალადობის გამოყენებით, მას შეეზღუდა დაცვის უფლება ან სასამართლომ არსებითად დაარღვია კანონის მოთხოვნები.

საქართველოში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის ეფექტიანობას ამყარებს აგრეთვე მისი გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლებიც. თუ 2005 წელს ეს ინსტიტუტი გამოიყენებოდა ს/ს საქმეთა მხოლოდ 7%-ზე, 2006 წლისათვის ეს მაჩვენებელი გაიზარდა 44.1%-მდე.

გ. მცდარია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ “ყველაფერზე არ შეიძლება საპროცესო შეთანხმების დადება”

აღსანიშნავია, რომ ეს თეზისი პირდაპირ უკავშირდება ქვემოთ განსახილველ კიდევ ერთ მცდარ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ “საპროცესო შეთანხმების დადება ხდება მხოლოდ ფულის გადახდის სანაცვლოდ” და, შესაბამისად, საპროცესო შეთანხმება შესაძლებელია დაიდოს მხოლოდ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე.

თუმცა ეს მოსაზრება მცდარია რამდენიმე მიზეზის გამო:

ა) საპროცესო შეთანხმება შეიძლება დაიდოს არა მხოლოდ ჯარიმის გადახდაზე, არამედ ნებისმიერ სხვა სასჯელზეც;

ბ) თუკი საპროცესო შეთანხმება იდება რეალურ სასჯელზე (ვადიანი თავისუფლების აღკვეთა) და ბრალდებულის თანამშრომლობის შედეგად ხელს უწყობს გამოძიებას, გახსნას სხვა დანაშაული ან სხვაგვარად თანამშრომლობს გამოძიებასთან, ამ ინსტიტუტის გამოყენება შესაძლებელია პრაქტიკულად ყველა დანაშაულზე;

გ) საპროცესო შეთანხმების გამოყენება ყველაზე უფრო ხშირად ხდება ორგანიზებული დანაშაულის საქმეებზე. ამ ინსტიტუტის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა ორგანიზებული დანაშაულისა და სხვა რთულად გამოსაძიებელ საქმეებზე წარმატების მიღწევა;

დ) საპროცესო შეთანხმება არ შეიძლება დაიდოს მხოლოდ ჯარიმის გადახდის სანაცვლოდ ნებისმიერ დანაშაულზე. თუ სახეზეა მძიმე ან/და ძალადობრივი დანაშაულის საქმე, საპროცესო შეთანხმების დადების აუცილებელი წინა პირობაა ბრალდებულის განსაკუთრებული თანამშრომლობა გამოძიებასთან, მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდების გზით.

დ. მცდარია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ “საპროცესო შეთანხმების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ფულის გადახდის სანაცვლოდ”

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, საპროცესო შეთანხმების დადება არ არის შეზღუდული მხოლოდ ჯარიმის გადახდის პირობით. ცალსახაა რამდენიმე გარემოება: ა) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის LXIV¹ თავის მიხედვით, არსებობს საპროცესო შეთანხმების ორი საფუძველი: ბრალის აღიარება და შეთანხმება სასჯელზე; ბ) საპროცესო შეთანხმების დადებით შესაძლებელია, დაინიშნოს ყველა ტიპის სასჯელი: თავისუფლების აღკვეთა, თავისუფლების შეზღუდვა, სამხედრო პირის სამსახურეობრივი შეზღუდვა, გამასწორებელი სამუშაო, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ჯარიმა, ქონების ჩამორთმევა, პირობითი მსჯავრი.

აღსანიშნავია ასევე ის გარემოებაც, რომ მხოლოდ საპროცესო შეთანხმებითაა შესაძლებელი კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა. აქედან გამომდინარე, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული მსჯელობა იმის თაობაზე, რომ საპროცესო შეთანხმება მხოლოდ ჯარიმის გადახდის სანაცვლოდ იდება. სასამართლოს პრაქტიკაში მოიპოვება საპროცესო შეთანხმება რომელშიც სასჯელის ზომად განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 21 წლის ვადით.

ე. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა

კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მე-6 მუხლით გარანტირებული “სამართლიანი სასამართლოს უფლება.” სწორედ ეს არის ის ფუნდამენტური უფლება, რომლის შესახებაც გვექნება საუბარი „საპროცესო შეთანხმებასთან“ მიმართებაში.

სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნათა დაცვას ფუნდამენტური მნიშვნელობა გააჩნია დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის. ამ უფლების უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი გარანტიაა სხვა უფლებებით დაცულ სამართლებრივ სიკეთეთა დაცვისათვის.

მაგალითად, კონვენციის მე-5 მუხლით გარანტირებული დაცვა უკანონო დაკავებისაგან დაკარგავდა თავის ეფექტურობას, თუკი ასეთი დაკავების შემდგომ დამნაშავედ ცნობა მოხდებოდა სამართლიანი სასამართლოს პრინციპების დაცვის გარეშე.

ამ უფლების უმნიშვნელოვანესი ხასიათიდან გამომდინარეობს ის განცხადება, რომელიც ევროპის სასამართლომ გააკეთა საქმეზე დელკურტი ბელგიის წინააღმდეგ (*Delcourt v. Belgium*). საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში მართლმსაჯულების სამართლიანი განხორციელების უფლებას იმდენად განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია, რომ მე-6(1) მუხლის შეზღუდული ინტერპრეტაცია იქნებოდა შეუსაბამო ამ მუხლის მიზანსა და მნიშვნელობასთან.

ევროსასამართლომ ნიუმისტერის საქმეზე დაადგინა (*Neumeister v. Austria*), რომ სამართალწარმოების თითოეულ მხარეს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა თავისი საქმის წარმოსადგენად და არც ერთ მხარეს არ უნდა გააჩნდეს რაიმე არსებითი უპირატესობა მეორე მხარეზე.

საქართველოს პრაქტიკის შემთხვევაში, პროკურორს, რომელიც წარმოადგენს მხარეს სისხლის სამართლის საქმეში, „საპროცესო შეთანხმების“ ძალით „უფლება აქვს, მოითხოვოს ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირება ან დანაშაულთა ერთობლიობისას მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივი მოხსნის თაობაზე“. სასამართლომ საქმეზე ბორგერსი ავსტრიის წინააღმდეგ (*Borgers v. Austria*) დაადგინა 6(1) მუხლის დარღვევა საშუალებათა თანასწორობის პრინციპიდან მიმართებაში იმის გამო, რომ პროკურორი აძლევდა სასამართლოს რეკომენდაციებს, მიეღოთ თუ არა მოსარჩელის აპელაცია და მონაწილეობას იღებდა გადაწყვეტილების მიღებაში, რადგან ასეთ შემთხვევაში პროკურორს უნდა დაეცვა საშუალებათა თანასწორობის პრინციპი.

მართალია, ამ ორი უფლების შესახებ პირდაპირ არ მიუთითებს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, მაგრამ ევროპის სასამართლომ ამ უფლებებთან მიმართებაში, საქმეზე მიურეი გაერთიანებული სამეფოს (*Murrey v. united kingdom*) წინააღმდეგ განაცხადა, „მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ პირდაპირ არ მიუთითებს კონვენციის მე-6 მუხლი, ეჭვგარეშეა, რომ დუმილის უფლება პოლიციის მიერ დაკითხვის დროს და უფლება, არ მისცე ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, წარმოადგენენ საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც მე-6 მუხლით აღიარებული სამართლიანი სასამართლოს უფლების შუაგულად ითვლება.“

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, „საპროცესო შეთანხმების“ მიზანია სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა. ასევე ამ ინსტიტუტის მარეგულირებელი ნორმებიდან ირკვევა, რომ მის დამატებით მიზანს ბრალდებულის მხრიდან გამოძიებასთან თანამშრომლობის წახალისება და ახალი დანაშაულის ან თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის განხილვის ხელის შეწყობა წარმოადგენს. ზოგადად მიზანსაც, რასაც საერთოდ საპროცესო შეთანხმების მსგავსი სისტემების შემოღება ემსახურება, სასამართლოში შესულ განსახილველ საქმეთა რაოდენობის შემცირება და სასამართლო სისტემის ფუნქციონირების შედარებით განტვირთვა წარმოადგენს.

საქმეზე ლანგობერგერი შვედეთის წინააღმდეგ (*Langoborger v. Sweden*) სასამართლომ განაცხადა, რომ “იმ შემთხვევაშიც კი, თუკი პირები ტექნიკურად კვალიფიციურნი არიან, განიხილონ კონკრეტული საკითხი და, თუკი არც მათ კეთილსინდისიერებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არსებობს, მაინც მნიშვნელოვანია დაცულ იქნეს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის ობიექტური

მოთხოვნები”. აქედან გამომდინარე, რაოდენ კომპეტენტურიც არ უნდა იყოს პროკურორი, იგი მაინც ბრალმდებელია, საქმის ერთ-ერთი მხარეა და არ არის სასურველი, მან განსაზღვროს ბრალდებულის ბრალი, სასჯელი და ამის დამტკიცების შესახებ შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს.

საქმეზე პიერსაკი ბელგიის წინააღმდეგ (*Piersack v. Belgium*) სასამართლომ დაადგინა, რომ “საჯარო ბრალმდებლის როლში მყოფ ყოფილ მოხელეებს არ შეუძლიათ გამოვიდნენ მოსამართლეებად იმ საქმეზე, რომელიც გამოძიებული იყო მათი უწყების მიერ, თუნდაც აღნიშნული საქმე არასოდეს ყოფილიყო მათ პირად წარმოებაში”. გარდა აღნიშნული სასამართლო საქმეებისა, ევროპის სასამართლოს კიდევ ბევრი გადაწყვეტილების მოძიება შეიძლება, სადაც ნათლად გამოჩნდა თუ რაოდენ მნიშვნელოვანია 6(1) მუხლით გათვალისწინებული დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ საქმის განხილვის უფლების უზრუნველსაყოფად სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა საგამოძიებო თუ საბრალდებო უწყებებისაგან.

საპროცესო შეთანხმება აშშ-ში

საპროცესო გარიგება დიდი ხანია რაც დაუკავშირდა ამერიკის სისხლის მართლმსაჯულების სისტემას. იგი, როგორც სამართლებრივი დევნის მექანიზმი, ამერიკაში ეპიზოდურად ჯერ კიდევ მე-19 საუკუნემდე გამოიყენებოდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ პრაქტიკის საკანონმდებლო განსაზღვრა მოხდა მას შემდეგ, როდესაც ჩამოყალიბდა მისი გამოყენების სამართლებრივი, თუნდაც წინააღმდეგობრივი ისტორიული ტრადიცია, რომელსაც ზოგიერთი კომენტატორი “უჩინარ მართლმსაჯულებას” უწოდებს. ადვოკატი და პროკურორი, ხშირად მოსამართლის მონაწილეობით, სასამართლოს “კულუარებში” თანხმდებოდნენ გარკვეულ კვალიფიკაციასა და სასჯელზე, რომელიც უმეტესწილად “ჯენტლმენური შეთანხმების” პრინციპით სრულდებოდა. ეს განპირობებული იყო აშშ-ის სასამართლო პრაქტიკის თავისებურებებით, რომელშიც გარანტირებულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლება და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებაც ხდება შეჯიბრებითობის პრინციპებზე დაყრდნობით. პირველი ზრდის სახელმწიფო მართლმსაჯულების ფინანსურ ტვირთს, ხოლო მეორე, ფორმალური პროცედურების ზედმიწევნითი დაცვით, ზრდის ყოველი სისხლის სამართლის საქმის განხილვის ხანგრძლივობას, რაც, თავისთავად, იწვევს სასამართლოების გადატვირთვას.

ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით სისხლის სამართლის საქმეთა 90% აშშ-ში „საპროცესო შეთანხმების“ გზით წყდება, აქ ამჟამადაც მიმდინარეობს დავა, თუ რამდენად კონსტიტუციურია საპროცესო გარიგების პრაქტიკა, კონსტიტუციაში ასახული საჯარო სასამართლოს უფლების გათვალისწინებით. „საპროცესო შეთანხმების“ მხარდამჭერები მიუთითებენ ამგვარი პრაქტიკის ეფექტურობაზე სახელმწიფო რესურსების დაზოგვის მხრივ და იმაზე, რომ საჯარო სასამართლოს უფლება არ არის აბსოლუტური – ბრალდებულს შეუძლია, უარი თქვას მის გამოყენებაზე და აღიაროს ბრალი. შესაბამისად, 1990-იანი წლებისათვის შეიქმნა სასამართლო პრეცედენტებისა და კანონმდებლობის მთელი სისტემა, რომლის მთავარი მიზანია სწორედ „საპროცესო შეთანხმების“ გამოყენების წახალისება სრული სასამართლო განხილვის გვერდის ავლით. ამის საპირისპიროდ, „საპროცესო შეთანხმების“ ოპონენტები მიუთითებენ, რომ „საპროცესო შეთანხმების“ ფართო გამოყენება გულისხმობს თვით სასამართლო მართლმსაჯულების კონცეფციაზე და ფუნდამენტურ გარანტიაზე უარის თქმას. მათი მტკიცებით, მიუხედავად ამ პრაქტიკის თავდაპირველი მიზნისა, რომელიც სასამართლოების განტვირთვას წარმოადგენს, ფაქტობრივად იგი გარდაიქმნა მართლმსაჯულების განხორციელების გამომრიცხველ გარემოებად. ამ შემთხვევაში საუბარია ნამდვილად „სწრაფ“ და „ეფექტიან“ პროცესზე, მაგრამ არა „მართლმსაჯულებაზე“.

აშშ-ის მართლმსაჯულებას ხშირად “შეძლებულთა მართლმსაჯულებას” უწოდებენ. ადვოკატის აყვანის ხარჯი ძალიან დიდია და მხოლოდ მატერიალურად უზრუნველყოფილ ბრალდებულს შეუძლია თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად სრული სასამართლო განხილვის ხარჯების გაღება. ამ პრობლემას მხოლოდ ნაწილობრივ ხსნის საჯარო დამცველთა ოფისების ქსელი, ვინაიდან ისინი ყოველთვის გადატვირთულები არიან საქმეებით და არ შეუძლიათ ყველა ბრალდებულის წარმომადგენლობის ადეკვატური უზრუნველყოფა. „საპროცესო შეთანხმება“ ემყარება ჰიპოთეზურ ვარაუდს, რომ ორივე მხარე – ამ შემთხვევაში პროკურორი და ბრალდებულის დამცველი – თანაბარ “სავაჭრო” პოზიციაში იმყოფებიან.

დასკვნა

დაბოლოს, ქვემოთ შევეცდები კიდევ ერთხელ ჩამოვაცალიხო ყველა ის არგუმენტი, თუ რატომ არ ეწინააღმდეგება საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ძირითად ფუნქციონირებულ პრინციპებს.

პირველი გარემოება არის ეფექტურობა. საპროცესო შეთანხმების მთავარი აზრი მდგომარეობს შემდეგში: იგი ჩვენი რესურსების კონცენტრირებას ახდენს სერიოზულ სისხლის სამართლის საქმეებზე. სახელმწიფოს არ გააჩნია საკმარისი რესურსები, რათა თითოეულ საქმეზე ჩაატაროს სასამართლო პროცესი სრული მოცულობით. ეს შეუძლებელია და არცერთ ქვეყანას, როგორც მდიდარიც არ უნდა იყოს ის, არ გააჩნია მსგავსი რესურსები. ასე რომ, ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი სისტემის არსებობა, რომელიც იძლევა მნიშვნელოვანი საქმეების იდენტიფიცირების შესაძლებლობას, რომელშიც მოცემულია მნიშვნელოვანი გადასაწყვეტი საკითხები, ატარებს იგი ინდივიდუალურ თუ საზოგადოებრივ ინტერესებს და

საპროცესო შეთანხმება არის ძალიან ეფექტური მეთოდი, რომელიც სწრაფად განიხილავს ისეთ საქმეებს, რომლებიც შეიძლება სწრაფად იქნენ გადაწყვეტილი.

მეორე გარემოებაც ანალოგიურია პირველის, რაც მდგომარეობს შემდეგში: მართლმსაჯულების ყველაზე დიდი მეტოქე არის მისი განხორციელების დაყოვნება. თუკი შეყოვნდა სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოში განხილვა, ბრალდებულსაც უწევს ლოდინი, ხოლო თითოეული მათგანისთვის სასამართლოში თანაბარი დროის მიცემით შეუძლებელი გახდება საქმის დადგენილ ვადაში გადაწყვეტა, რითაც დაირღვევა მათი უფლებები, რომელიც გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლიდან და საერთაშორისო კონვენციიდან სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. სისხლის სამართლის საქმის დაყოვნება წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთ სერიოზულ დარღვევას.

მესამე გარემოება ეხება დაზარალებულს. თუ სახეზეა დაზარალებულის პროცესში მონაწილეობის პრობლემა, იგი შეიძლება მარტივად გადაიჭრას შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებით, როგორც ეს გააკეთეს, მაგალითად, ესტონელებმა. აღნიშნული დაზარალებულს ნებას რთავს, საპროცესო შეთანხმებაში გააჩნდეს აქტიური როლი. მაგრამ ზოგჯერ ეს შეიძლება წარმოადგენდეს პრობლემასაც. ისტორიულად, გაერთიანებულ სამეფოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში დაზარალებულის როლი საპროცესო შეთანხმებაში ძალიან მინიმალურია და მას უფლება აქვს იყოს მხოლოდ ინფორმირებული, თუ რა ხდება საქმეში, იგი ვერ მიიღებს მონაწილეობას საპროცესო შეთანხმების დადებაში. ბევრ სხვა ქვეყანაში, მათ შორის ევროპულ სახელმწიფოებში, დაზარალებული გვევლინება საპროცესო შეთანხმების მონაწილედ, რომელსაც უფლება აქვს, წარმომადგენილი იყოს პროცესზე და გაასაჩივროს შეთანხმების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. აღნიშნულმა სახელმწიფოებმა განავითარეს საპროცესო შეთანხმების წარმატებული სისტემები, რომელიც მოიცავდა დაზარალებულსაც. ასე რომ, პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს დაზარალებულის საპროცესო შეთანხმებაში მონაწილეობა, მაგრამ ზოგჯერ არის ისეთი კატეგორიის საქმეები, რაც მოიცავს ინტიმურ დეტალებს, მაგალითად, სექსუალური ძალადობის საქმეები, განსაკუთრებით როდესაც ეს ეხება ბავშვებს. მათი სასამართლოს წინაშე წარდგენა ჩვენების მისაცემად არის საკმაო ფსიქოლოგიური ტრავმის მატარებელი, ხოლო დაზარალებული შეიძლება გახდეს “განმეორებითი მსხვერპლი”. ბევრი დაზარალებული აღწერს სასამართლოში ჩვენების მიცემას, როგორც მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის განმეორებას. ასე რომ, საპროცესო შეთანხმების სისტემა, რომელიც ეხება ბრალის აღიარებას, იცავს დანაშაულის მსხვერპლს სასამართლოში ჩვენების მიცემისგან, რაც წარმოადგენს აღნიშნული სისტემის ერთ-ერთ უპირატესობას, რასაც აღიარებენ კიდევ დაზარალებული პირები.

ჩემი მეოთხე არგუმენტი არის ის რომ საპროცესო შეთანხმება ხელს უწყობს ე.წ. მედიაციის და შერიგების მართლმსაჯულების განვითარებას. ამ პროცესში ჩართულია დაზარალებულიც და უფრო მეტიც, დაზარალებული მთავარი მოქმედი ფიგურაა ამ დროს.

საპროცესო შეთანხმების უპირატესობა მდგომარეობს იმაშიც, რომ ბრალზე და სასჯელზე შეთანხმება უზრუნველყოფს სასჯელის სამართლიანობას. მსჯავრდებულების მხრიდან საკ-

მაოდ ხშირია განცხადებები, რომ სასამართლომ იმოქმედა მათ წინააღმდეგ, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ გარკვეულ უმცირესობას, რომ მთელი პროცესი იყო უსამართლო და, რომ ისინი, უბრალოდ, არიან სისტემის მსხვერპლნი. ხოლო ბრალის საპროცესო შეთანხმების დროს პირს ეძლევა საშუალება, აღიაროს ბრალი, საჯაროდ განაცხადოს, რომ იგი არის დამნაშავე და უნდა საკუთარი დანაშაულის გამოსყიდვა საზოგადოების წინაშე. ხოლო ბრალის საჯაროდ აღიარებასა და საპროცესო შეთანხმებაზე დათანხმების შემდეგ ძალიან ძნელია მომავალში ბრალდებულმა ზემოთ ხსენებული რაიმე მიზეზი დაასახელოს გამამტყუნებელი განაჩენის გასაპროტესტებლად.

შემდეგი არგუმენტი მდგომარეობს საპროცესო შეთანხმების კავშირში შეჯიბრებითობის ფუნდამენტურ პრინციპთან. საპროცესო შეთანხმება ბრალის აღიარებით წარმოადგენს შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული მართლმსაჯულების მნიშვნელოვან ასპექტს და იგი განვითარდა სწორედ იმ სახელმწიფოებში, რომლებმაც განავითარეს შეჯიბრებითი სამართლის სისტემები, ვინაიდან საპროცესო შეთანხმება ბრალდებულს განიხილავს როგორც პროცესის აქტიურ პერსონაჟს და არა პასიურ ობიექტს, რომელსაც გააჩნია საკუთარი უფლებების დაცვის საშუალება მოლაპარაკებების პროცესში. რა თქმა უნდა, არაფერი უშლის ბრალდებულს ხელს, უარი თქვას შეთანხმებაზე და მისი საქმე სრული მოცულობით განიხილოს სასამართლომ, რაც წარმოადგენს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის ფუნდამენტურ იდეას.

დაბოლოს, საპროცესო შეთანხმების კიდევ ერთი უპირატესობაა ისიც, რომ იგი წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ იარაღს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც, თავის მხრივ, არის ყველაზე დიდი პრობლემა და “საწამლავი” პოლიტიკური სისტემისათვის. ხოლო კორუფციაზე თავდასხმის საუკეთესო გზას კი წარმოადგენს საპროცესო შეთანხმების სისტემის სწორი გამოყენება. მისი მეშვეობით შესაძლებელია ე.წ. “სიჩუმის კედლის” გარღვევა, რაც მიიღწევა კორუფციულ გარიგებაში მცირე როლის მქონე ბრალდებულებთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებით. ხოლო ისინი სანაცვლოდ თანხმდებიან, დაასახელონ სისხლის სამართლის საქმის მთავარი მონაწილეები და მიაწოდონ გამოძიებას მტკიცებულებები მათ წინააღმდეგ.